უძრავი ქონების თანამესაკუთრის თანხმობა

ქ. თბილისი

___ _____2026 წ.

სს „თელასი“ *(ს/კ 202052580)*, როგორც უძრავი ქონების *(საკადასტრო კოდი 01.14.03.035.004; მდებარე ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N47; ნაკვ. (35/4))* თანამესაკუთრე (შემდგომში „თანამესაკუთრე“), წინამდებარე განცხადებით აცხადებს გამოუთხოვად თანხმობას მიწის ნაკვეთების გაერთიანებაზე, შემდეგი პირობებით:

1) მიწის ნაკვთეთი საკადასტრო კოდით 01.14.03.035.004 და მასზე განთავსებული შენობა წარმოადგენს ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღნიშნული პირების თანასაკუთრებას, მითითებული წილებით/ფართობებით:

1	თანამესაკუთრე	შპს „ყაზბეგის 47“	შპს „საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯი“	სს „თელასი“
2	საიდენტიფიკაციო ნომერი	204538599	211358868	202052580
3	შენობაში საკუთრებაში არსებული ფართობი (მ²)	7615	1003.40	50
4	პროცენტული მონაწილეობა შენობაში თანამესაკუთრის საკუთრებაში არსებული ფართობისა, შენობის მთლიან ფართობთან (8668.40 მ²) მიმართებით	87.8478 %	11.5753 %	0.5768 %
5	მე-4 პოზიციაში აღნიშნული პროცენტული მონაწილეობიდან გამომდინარე მიწის ნაკვეთის სრულ ფართობზე (4512 მ²) თითოეული თანამესაკუთრის წილი (მ²)	3963.693	522.281	26.026

2) თანამესაკუთრე გამოთქვამს თანხმობას განხორციელდეს მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდით - 01.14.03.035.004 გაერთიანება, შპს „ყაზბეგის 47“-ის საკუთრებაში არსებულ შემდეგ მიწის ნაკვეთებთან:
ა) ს/კ 01.14.03.035.050 – 64 მ²;
ბ) ს/კ 01.14.03.035.012 – 50 მ²;
გ) ს/კ 01.14.03.035.059 – 52 მ².

3) მიწის ნაკვეთების გაერთიანების შედეგად, გაერთიანებული მიწის ნაკვეთის ფართობად განისაზღვრება - 4678 მ², რომელშიც შპს „საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯი“-ს და სს „თელასი“-ს წილი დარჩება უცვლელად, როგორც ეს აღნიშნულია პირველ პუნქტში მოცემული ცხრილის მე-5 პოზიციაში

(შესაბამისად, 522.281 მ² და 26.026 მ²), ხოლო შპს „ყაზბეგის 47“-ის წილი გაიზრდება მე-2 პუნქტში აღნიშნული მიწის ფართობებით - 166 მ²-ით და განისაზღვრება - 4129.693 მ²-ით.

4) მიწის ნაკვეთების გაერთიანების შედეგად, გაერთიანებულ მიწის ნაკვეთზე თანამესაკუთრეთა წილობრივი მონაწილეობა (გამოხატული მ²-ში) განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) შპს „ყაზბეგის 47“ – 4129.693 მ²;

ბ) შპს „საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯი“ – 522.281 მ²;

გ) სს „თელასი“ – 26.026 მ².

5) განხორციელდეს წინამდებარე თანხმობის პირობებით მიწის ნაკვეთების გაერთიანების რეგისტრაცია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“.

6) წინამდებარე თანხმობას თან ერთვის გაერთიანებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო აგეგმვითი / აზომვითი ნახაზი - 2 გვ.

თანამესაკუთრე:

სს „თელასი“ (ს/ნ 202052580)

გენერალური დირექტორი

სერგეი კობცევ

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N260692524
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	28.05.2026 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ლუიზა ცხადაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქალაქი თბილისი, ფიროსმანის ქუჩა N23
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2943164 599535661 591706617
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	67641609640026

დღეს, ორიათას ოცდაექვსი წლის ოცდარვა მაისს, მე, საქართველოს ნოტარიუსს ლუიზა ცხადაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ფიროსმანის ქ. N23, პირველი სართული, მომმართა ბატონმა ზაზა აზარაშვილმა (დაბადების თარიღი:16.10.1976, დაბადების ადგილი: საქართველო, თბილისი, მისამართი: თბილისი გლდანი VII მ/რ კორ. 16 ბ. 49, პირადი ნომერი: N01002026605) რომელმაც განაცხადა, რომ სს ''თელასი''-ს გენერალურ დირექტორს სერგეი კობცევს არ შეუძლია სანოტარო ბიუროში გამოცხადება და მას როგორც სს ''თელასი''-ს გენერალურ დირექტორს საზოგადოების სახელით სურს წერილობით დოკუმენტზე ხელისმოწერის ნამდვილობის დადასტურება შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ვანის ქ. N3. მე ვეახელი სერგეი კობცევს აღნიშნულ მისამართზე და დავრწმუნდი, რომ მას ნამდვილად სურდა წინამდებარე დოკუმენტზე თავისი ხელისმოწერის სანოტარო წესით დადასტურება. მას განემარტა წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგი. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს სერგეი კობცევს (დაბადების თარიღი: 17 დეკემბერი 1972 წელი, დაბადების ადგილი: რუსეთი, პასპორტის ნომერი 75 6925332,პასპორტი გაცემულია მსს 50001 მიერ 12.02.2018 წ, სსგს სამოქალქო რეესტრის ბაზის მონაცემებით პირადი N01591002308) დავუდასტურე ხელისმონერის სინამდვილე მის მიერ შედგენილ და წარმოდგენილ დოკუმენტზე. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე მას განვუმარტე წარმოდგენილ დოკუმენტზე თავისი ხელისმოწერის სამართლებრივი შედეგი. მან განაცხადა, რომ დოკუმენტზე მისი ხელისმოწერა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ, მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი დოკუმენტზე, რომელიც შესრულებულია ქართულ ენაზე და წარმოდგენილია ერთ /01/ გვერდზე, შემდეგ სერგეი კობცევმა ჩემი ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე დოკუმენტზე, დოკუმენტზე ხელმოწერა შესრულებულია და დოკუმენტი გაცემულია ერთ /01/ ეგზემპლარად.

სს "თელასი''-ს ეკისრება სანოტარო მომსახურების საზღაურის გადახდა: სულ ორმოცდაცამეტი ლარი ოცდათვრამეტი თეთრი. /53.38/, საფუძველი: „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილება, იმავე დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის N272 დადგენილება, 31.3 მუხლისა ერთი ხელმოწერისათვის ექვსი /6.00/ ლარი და 00 თეთრი, შენობის გარეთ შესრულებული სანოტარო მოქმედებისათვის ოცდათხუთმეტი ლარი 00 თეთრი. /35.00/, 39.1 მუხლის თანახმად ხუთი ლარი 00 თეთრი, ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად დღგ შვიდი ლარი და ოცდათვრამეტი თეთრი /7.38/.

მე ნოტარიუსი, ლუიზა ცხადაძე, არ ვადასტურებ წარმოდგენილ დოკუმენტში მოტანილი ფაქტის სისწორეს, არამედ ვადასტურებ, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერა ნამდვილად სს ''თელასი''-ს გენერალურ დირექტორს სერგეი კობცევს ეკუთვნის.

ნოტარიუსი: /ლუიზა ცხადაძე/

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18



უძრავი ქონების თანამესაკუთრის თანხმობა

ქ. თბილისი 23 აპრილი 2026

შპს „საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯი“ *(ს/კ 211358868)*, როგორც უძრავი ქონების *(საკადასტრო კოდი 01.14.03.035.004; მდებარე ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #47, ნაკვ. (35/4))* თანამესაკუთრე, წინამდებარე განცხადებით აცხადებს თანხმობას, ორი წლის ვადით, 2028 წლის 23 აპრილამდე, რათა შპს „ყაზბეგის 47“-მა *(ს/კ 204538599)* დამოუკიდებლად, საკუთარი შეხედულებისამებრ განახორციელოს უძრავ ქონებაზე *(მიწის ნაკვეთი ს/კ 01.14.03.035.004 ან აღნიშნულ ნაკვეთთან (ს/კ 01.14.03.035.004) მომიჯნავე მიწის ნაკვეთების (ს/კ 01.14.03.035.050, 01.14.03.035.012, 01.14.03.035.059) გაერთიანების შედეგად მიღებული ახალი მიწის ნაკვეთი)* ნებისმიერი სახის/კლასის ახალი მშენებლობა, რეკონსტრუქცია, დემონტაჟი, მათ შორის შენობის სახურავზე მზის პანელების განთავსება და აღნიშნულის უზრუნველსაყოფად შეათანხმოს ნებისმიერი სახის პროექტი და მოიპოვოს შესაბამისი ნებართვა. ზემოაღნიშნულის უზრუნველსაყოფად შპს „ყაზბეგის 47“-მა შეათანხმოს ნებისმიერი სახის პროექტი და მოიპოვოს შესაბამისი ნებართვა, წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტები და განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ნებისმიერი სახის ქმედება სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნებისმიერ სამსახურში, მათ შორის არქიტექტურის საქალაქო სამსახურში, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, მუნიციპალურ ინსპექციაში, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში ან/და აღნიშნული/შესაბამისი ნებართვის/შეთანხმების მისაღებად საჭირო სხვა სახელმწიფო ორგანოში, მათ შორის შესაბამისი უფლებების რეგისტრაციისთვის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

ყოველივე ზემოაღნიშნულზე თანხმობას ვადასტურებ წინამდებარე განცხადებაზე ხელმოწერით.

უძრავ ქონების თანამესაკუთრის ხელმოწერა:

შპს „საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯი“ (ს/ნ 211358868)

დირექტორი (რექტორი)

ანა კუჭუხიძე (პ/ნ 01024037707)

ანა კუჭუხიძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N260512125
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	23.04.2026 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	შორენა გოგორიშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, პეკინის ქ. 34 / ყაზბეგის გამზ. 2
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 595 075225
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	99979645783826

საქართველო

მე, საქართველოს ნოტარიუსი , შორენა გოგორიშვილი ვამოწმებ ანა კუჭუხიძის (დაბ.11 მაისი 1986 ,რეგისტრირებული მისამართი : თბილისი, სერგო ზაქარიაძის ქუჩა, N 12, ბინა 24 , პ/ნ 01024037707) ხელმოწერის ნამდვილობას წინამდებარე დოკუმენტზე (უძრავი ქონების თანამესაკუთრის თანხმობა).

ხელმომწერმა პირმა ხელმოწერა შეასრულა ნოტარიუსის თანდასწრებით. ხელმომწერ პირს განემარტა , რომ ხელისმოწერით დოკუმენტის შინაარსი არ მოწმდება , რაზედაც მან განაცხადა თანხმობა. დოკუმენტზე ხელმომწერი პირის პირადობა დადგენილია.ხელმომწერ პირის ქმედუნარიანობა ეჭვს არ იწვევს. გარიგებაზე ან სხვა დოკუმენტზე ხელმოწერის დამოწმებისას, ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს მხოლოდ მხარეთა (წარმომადგენელთა) პირადობა , ქმედუნარიანობა და დაამოწმოს ხელმომწერ პირის ხელმოწერის ნამდვილობა .ამასთან ,ნოტარიუს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კერძო აქტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის , ან კერძო აქტში ხელმომწერის ნების არაადეკვატურად ასახვის გამო.

გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაური (3 ეგზემპლიარზე შესრულებული სულ 3 ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმების) 18.00 ლარი , საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N 507 დადგენილებით დამტკიცებული - ,, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადების" შესახებ , აგრეთვე, დღგ 3.24 ლარი (თანახმად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა) და სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 5 ლარი.

ნოტარიუსი :..... შორენა გოგორიშვილი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო, თბილისი 0119, ვანის ქ. 3
ელ. ფოსტა: telasi@telasi.ge
ტელ: +995 (32) 277 99 99
www.telasi.ge

სნ 202052580

N: 0615/505/26

15/06/2026

შპს „ყაზბეგი 47“-ს დირექტორს

ბ-ნ რატი ჩაკვეტაძეს

სს „თელასში“ შემოსული თქვენი N0608/1155/26 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ კომპანია, როგორც უძრავი ქონების თანამესაკუთრე არ არის წინააღმდეგი ქ. თბილისში, ყაზბეგის გამზირი N47-ში (ს/კ 01.14.03.035.059) მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებულ 6/1 შენობაზე განახორციელოთ რეკონსტრუქცია და მიშენების სამუშაოები ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში წარდგენილი #AR11087897 განცხადების შესაბამისად.

გენერალური დირექტორი ს. კობცევი

შემს: ზ. აზარაშვილი
2-77-99-99 (1) 7531